

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემია



ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური

საბჭოს სხდომაზე:

დადგენილების № 35, თარიღი: 04.10.2012

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური

საბჭოს სხდომებზე:

დადგენილება № 36, თარიღი: 23.10.2012

დადგენილება № 39, თარიღი: 31.10.2012

დადგენილება № 19, თარიღი: 23.07.2015

დადგენილება № 24, თარიღი: 24.02.2016

დადგენილება № 93, თარიღი: 13.10.2016

დადგენილება № 6, თარიღი: 23.02.2017

გორი

2017 წელი

<i>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</i>	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
<i>აკადემიის სკოლა</i>	საბაკალავრო სკოლა
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი</i>	მარინე ცერცვაძე – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
<i>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</i>	60 კრედიტი
<i>სწავლების ენა</i>	ქართული
<i>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</i>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას.</p> <p>პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი მსმენელებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B1+ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.</p> <p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოუმუშავდეთ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი;

- სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი;
- ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი;
- ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი;
- შემღონ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია როგორც სახელმწიფო ენის სწავლება, ასევე არაქართულენოვანი მსმენელებისთვის შეიარაღებულ ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის II მუხლის 335 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი წესით. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

1. აბიტურიენტებს, რომლებიც

დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 წელი;

2. აბიტურიენტები აბარებენ ზოგადი

უნარების ტესტებს მათ მშობლიურ ენაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად. (საქართველოს მოქალაქეები).

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც,

რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების

გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში

საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით (საქართველოს კანონი

უმაღლესი განათლების შესახებ 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

	<p>უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 5-ის და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;</p> <p>3.აბიტურიენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება და წარმოადგინონ ყველა მოთხოვნილი საბუთი განსაზღვრულ ვადაში;</p> <p>დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება აკადემიის ვებ-გვერდზე.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება</p>	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.</p>

სწავლის შედეგები

<p>კომპეტენციები</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ენის პრაქტიკულად გამოყენება მთელი რიგი ვერბალური და წერიითი მიზნებისათვის; სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა, წაკითხვა , გაგება, ანალიზი; შესწავლილი ლექსიკური</p>
-----------------------------	--

	<p>მარაგის გამოყენება .</p>
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის: ქართული ენის სტრუქტურა,(ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ერკვევა მათ საერთო ნიშნებში, სტრუქტურაში; კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ენობრივი ფორმები, მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის ძირითადი სტრატეგიები, გრამატიკული კონსტრუქციები და მათი შემადგენელი ერთეულების ფუნქცია; ქართული ენის ლექსიკური მარაგი და გავრცელებული გამოთქმები, ლექსიკოლოგიის ელემენტები, სამხედრო ტერმინოლოგია; საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო და სამწყობრო წესდების ტერმინოლოგიის ელემენტები.შეუძლია მოსმენილი ტექსტის შინაარსის გაგება; სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობის ძირითადი პრინციპები, ინტერპრეტაცია, ტექსტის სტრუქტურა და მის ნაწილებს შორის კავშირი; ქართული ენის გრამატიკის ორთოგრაფია და მართლწერის წესები; სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით საქმიანი წერილების და დოკუმენტების შედგენა;</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია: მოსმენა ყოფით ან სასწავლო გარემოში მითითებებისა და დავალებათა შინაარსის გაგება; სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გაგება,ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით; მოსაუბრეთა ემოციის ამოცნობა და მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>

	<p>კითხვა</p> <p>მხატვრული და არამხატვრული ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება; წაკითხულ ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; წაკითხული ტექსტის მიზნის ამოცნობა; ლექსიკის ზოგადი ფონდის გამდიდრება ლექსიკონის გამოყენებით; სამხედრო დავალებებთან პირობების, ინსტრუქციების წაკითხვა და გაგება, სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.</p> <p>ლაპარაკი</p> <p>ორიენტიცია ქართულენოვან გარემოში, სხვადასხვა თემატიკაზე საუბარი, კითხვების დასმა და მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; მოსმენილი ტექსტის თემის აღქმა, ინფორმაციის მოკლედ და თანმიმდევრულად გადმოცემა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, შესწავლილი ენობრივი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციებში. სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით წინადადებების აგება;</p> <p>წერა</p> <p>სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა, საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, საანკეტო მონაცემების შევსება, CV-ს და ბიოგრაფიის შექმნა, არგუმენტირებული ესეს დაწერა. შეძლებს დაიცვას წერილობითი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა, ფუნქციურად გამოიყენოს შესაბამისი ენობრივი საშუალებანი.</p>
დასკვნის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>შესწავლილი საკითხების, მოსაზრებების შედარება, ანალიზი, მსგავსებისა და განსხვავებების დანახვა; პროგრამის დასრულების შემდეგ მას ექნება არგუმენტირების,</p>

	კრიტიკული შეფასების, დასკვნის ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბების უნარი;
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია : კომუნიკაცია სასწავლო პროცესში და ნებისმიერ საზოგადოებაში, სხვისი აზრის მოსმენა, დისკუსიაში მონაწილეობა, კითხვებზე პასუხის გაცემა, მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მოპოვება და გაცვლა, ზეპირი და წერილობითი ტექსტის ადეკვატურად გაგება და შექმნა, შესწავლილი ლექსიკური მარაგის გამოყენება, გამომუშავებული მეტყველების ჩვევების გამოყენებით ინფორმაციის ლოგიკურად ჩამოყალიბება და გადმოცემა.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა; ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება; საკუთარ თავზე დამოუკიდებლად მუშაობა და პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა; კურსდამთავრებულს შეუძლია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	კურსდამთავრებული შეძლებს: ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობას, დაფასებას და პატივისცემას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ლექცია, დისკუსია/დებატები, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მუშაობა აუდირების მეთოდი, თანამშრომლობითი სწავლება, წყვილებში მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, როლური და სიტუაციური

თამაშები, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

მსმენელის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად.

მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას; დამოუკიდებელ მეცადინეობას; გამოცდების (შუალედური/ დასკვნითი) მომზადება-ჩაბარებას;

მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს აქვს თავისი ხვედრითი წილი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა). დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა.

შუალედურ და დასკვნით (დასკვნითი გამოცდის) შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს შეფასების მაქსიმალური ქულის 30 %-ს.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა ;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო; მსმენელს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX- შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას საბაკალავრო პროგრამაზე და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრირებას .

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია აკადემიის შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით, აკადემიის ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტით.

სასწავლო გეგმა

საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების მოცულობა და გადანაწილება სემესტრების მიხედვით

№	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	ECTSკრედიტი	
			სემესტრი	
			I	II
1	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) -1	წინაპირობის გარეშე	10	
2	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1	წინაპირობის გარეშე	5	
3	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	წინაპირობის გარეშე	10	
4	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	წინაპირობის გარეშე	5	

5	ფუნქციური წერა	წერთი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1; ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 .		5
6	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -2	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1		5
7	ქართული წერთი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	ქართული წერთი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1		5
8	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) -2	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები-1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)		10
9	ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)		5
სემესტრში			30	30
სულ			60	

N	სასწავლო კურსები	ECTS კრედიტი	ლექცია, სთ.	სამუშაო ჯგუფში / მუშაობა.პრაქტიკული მუშაობა, სთ.	შუალედური გამოცდა	დაკვებითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ საათების რაოდენობა
1	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	10	0	120	1	2	127	250
2	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1	5	0	60	1	2	62	125
3	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	10	30	90	1	2	127	250
4	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	5	0	60	1	2	62	125
5	ფუნქციური წერა	5	15	45	1	2	62	125
6	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -2	5	0	60	1	2	62	125
7	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	5	0	60	1	2	62	125
8	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -2 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	10	0	120	1	2	127	250
9	ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია	5	15	45	1	2	62	125
	სულ:	60	60	660	9	18	753	1500

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსი	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	×	×		×	×	
2	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1	×	×	×	×	×	×
3	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	×	×	×	×	×	
4	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	×	×		×		
5	ფუნქციური წერა	×	×	×	×		
6	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -2	×	×	×	×		×
7	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	×	×	×	×		
8	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -2 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	×	×	×	×	×	×
9	ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია	×	×		×	×	

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

პროგრამის ხელმძღვანელი მარინე ცერცვაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

№	სასწავლო კურსი	განმახორციელებელის (სახელი, გვარი)	აკადემიური თანამდებობა/ მოწვეული პროფესორი/ მასწავლებელი/ ინსტრუქტორი	აკადემიური კვალიფიკაცია
1	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -1 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	ნელი ჭამპურიძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
3	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	ნელი ჭამპურიძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
4	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
5	ფუნქციური წერა	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
6	ქართული ენის პრაქტიკული	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური

	გრამატიკა -2			დოქტორი
7	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
8	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები -2 (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)	ნელი ჭამპურიძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
9	ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია	მარინე ცერცვაძე	ქართული ენის მასწავლებელი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი